სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი

ანალიზის პრეზენტაცია მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ

2024, ივნისი

სტრუქტურა

- შერჩევა
- მიზანი
- შედეგები
- დასკვნა
- რეკომენდაციები

შერჩევა

- 2023-2024 სამოქმედო წლის დასაწყისში ხარისხის მართვის სამსახურმა შეარჩია სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდოლოგიით განსაზღვრული ორი სტრატეგიიდან ერთერთი:

<u>ხარისხის მართვის სამსახურმა გადაწყვიტა მე-II სტრატეგიის გამოყენება</u> - შერჩევა ხდება პროგრამების მიხედვით ისე, რომ ყველა პროგრამის ზოგადი და დარგობრივი მოდულებიდან ჯამში არანაკლებ 3 მოდულის სასწავლო პროცესზე მოხდეს დაკვირვება.

- 5 პროგრამის მიხედვით, სულ შეირჩა 33 მოდული. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საფინანსო სერვისებს, რადგან აღნიშნულ პროგრამაზე უმეტესად მოწვეულნი იყვნენ ახალი მასწავლებელები და ბოლო ორი წლის მანძილზე კოლეჯში პროგრამა არ ხორციელდებოდა;

შერჩევა

საექთნო განათლება	• 6 მეცადინეობა
აღმზრდელი	• 5 მეცადინეობა
ინფორმაციის ტექნოლოგიია	• 4 მეცადინეობა
ფარმაცი (სააფთიაქო)	• 5 მეცადინეობა
საფინანსო სერვისები	• 11 მეცადინეობა
ქართული ენა (A2 და B1)	• 2 მეცადინეობა

მიზანი

პროფესიული განათლების მასწავლებლის მუშაობის შეფასება

პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭიროებების განსაზღვრა

სასწავლო პროცესის დადებითი ასპექტების და ხარვეზების გამოვლენა მისი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

შედეგები:

საქართნო განათლება - I ეტაპი დაგეგმვა

- გამოიკვეთა, რომ ყველა მასწავლებელი მცირედი გადაცდომების მიუხედავად, მიყვება კალენდარულ გეგმას.
- ჩამოყალიბებული აქვს მეცადინეობის მიზანი, შერჩეული აქვთ სწავლების მეთოდები ისე, რომ სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი.
- უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ინტერაქტიულ მეთოდებს.
- ერთი მასწავლებელის შემთხვევაში ლექციები იყო რუტინული, მასწავლებელი იყო დომინანტი და მის მიერ გამოყენებული აქტივობა იყო მხოლოდ კითხვა- პასუხი.
- ყველა მეცადინეობაზე სასწავლო გარემო შერჩეული იყო თემის შესაბამისად.

შედეგები:

საექთნო განათლება - II ეტაპი განხორციელება

- 5 მეცადინეობის შემთხვევაში განხორციელების ეტაპი წარიმართა დაგეგმვის ეტაპის შესაბამისად.
- ახალი მასალის გაგების ხარისხს მასწავლებელი ადგენდა შესაბამისი აქტივობების განხორციელებით, უზრუნველყოფდა სტუდენტთა ჩართულობას და ამომწურავ პასუხებს სცემდა მათ კითხვებს.
- მასწავლებლის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიები გამოყენებული იყო მიზნობრივად თემასთან და აქტივობებთან მიმართებით.
- ყველა მასწავლებლის მიერ ახალი მასალის გაგების გადამოწმება ხდება კითხვა-პასუხის რეჟიმით.
- ერთი მასწავლებლის გარდა, ყველა მასწავლებელს ისე ჰქონდა დაგეგმილი აქტივობები, რომ სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ლექციაზე.

შედეგები:

საექთნო განათლება - III ეტაპი შეფასება

- 5 მეცადინეობის ფარგლებში მეცადინეობა დასრულდა მასწავლებლის მიერ თემის შეჯამებით.
- მეცადინეობის მანძილზე თითოეული აქტივობის ბოლოს მასწავლებელი აძლევდა უკუკავშირს სტუდენტებს, შესრულებულ დავალებებთან დაკავშირებით.
- ერთი მეცადინეობის შეფასების ეტაპი საერთოდ არ განხორციელებულა. ეს უკანასკნელი ვერ მოხდებოდა, რადგან მასწავლებლების მიერ დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე არ იყო რელევანტური აქტივობები შერჩეული, არც სტუდენტთა ჩართულობა ხდებოდა მეცადინეობის პროცესში.

შედეგები:

აღმზრდელი - I ეტაპი დაგეგმვა

- 5 მეცადინეობის მონაცემების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ყველა მეცადინეობა შეესაბამებოდა კალენდარულ გეგმებს.
- ყველას ჰქონდა განსაზღვრული მიზანი, რომელიც განხორციელების ეტაპზე გააცნეს სტუდენტებს.
- ყველა მასწავლებელს შერჩეული ჰქონდა მრავალფეროვანი აქტივობები და იმის მიუხედავად, რომ მეცადინეობები, რომელზე დასწრებაც მოხდა, იყო თეორიული კომპონენტის, ყველა მასწავლებელს გამოყენებული ჰქონდა პრაქტიკული სავარჯიშოები,

შედეგები:

აღმზრდელი - II ეტაპი განხორციელება

- მასწავლებლებს დაგეგმვის შესაბამისად აქვთ განხორციელებული პროცესები.
- ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით ადგენენ, თუ რამდენად არის გასაგები ახალი მასალა სტუდენტებისთვის.
- ზოგიერთი მასწავლებლის შემთხვევაში გამოყენებულია როგორც ძირითადი, ისე დამატებით სასწავლო რესურსი.
- ერთი მასწავლებლის მიერ საერთოდ არ მომხდარა რესურსის გამოყენება, მათ შორის სახელმძღვანელოსიც კი.
- მეცადინეობებზე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ თემასთან დაკავშირებული საკუთარი გამოცდილება.

შედეგები:

აღმზრდელი - III ეტაპი შეფასება

- პროგრამის ყველა მეცადინეობაზე, რომელზე დასწრებაც განხორციელდა, მასწავლებლების მიერ გამოყენებული იყო ლექციის შეჯამების ტექნიკა.
- მეცადინეობის პროცესში, აქტივობების შესრულების შემდეგ, მასწავლებელის მიერ ხდებოდა განმავითარებელი შეფასების მიცემა სტუდენტებისთვის.

შედეგები:

ფარმაცია (სააფთიაქო) - I ეტაპი დაგეგმვა

- გამოვლინდა, რომ ყველა მეცადინეობის თემა შეესაბამება კალენდარულ გეგმას და მოდულით მოცემულ შედეგებს.
- ჩამოყალიბებული და განსაზღრული აქვთ მიზანი, ასევე თემის შესაბამისად შერჩეულია სასწავლო გარემო.
- მასწავლებლების მიერ დაგეგმილი თემის შესაბამისი აქტივობები მიზნის მიღწევის საშუალებას იძლევა.

შედეგები:

ფარმაცია (საფთიაქო) - II ეტაპი განხორციელება

- ყველა მეცადინეობის შემთხვევაში, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ისე იყო განხორციელებული, რომ უზრუნველყოფილი იყო სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში.
- მასწავლებლები ახალი მასალის ახსნის დროს იყენებდნენ სხვადასხვა საჭირო რესურსს, მათ შორის სახელმძღვანელოს და ხშირად დამატებით მასალას.
- მასწავლებლები სტუდენტების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავ პასუხებს სცემდნენ.
- მასალის ახნის პარალელურად სავარჯიშოებით და სხვადასხვა აქტივობებით უზრუნველყოფნენ სტუდენტებში ახალი მასალის გაგების გადამოწმებას.

შედეგები:

ფარმაცია (სააფთიაქო) - III ეტაპი შეფასება

- ყველა მასწავლებელი დასკვნის სახით აჯამებდა მეცადინეობაზე განხილული საკითხების ძირითად ორიენტირებს.
- მასწავლებლები სტუდენტებს მათ მიერ შესრულებულ დავალებებზე აძლევდნენ განმავითარებელ კომენტარებს.

შედეგები:

საფინანსო სერვისები - I ეტაპი დაგეგმვა

პროგრამის ფარლგებში ერთი მასწავლებლის გარდა ყველა მასწავლებელი არის ახალი კადრი კოლეჯისთვის და მათი უმრავლესობა პირველად არის მასწავლებლის პროფესიაში შემოსული. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულ იქნა.

- ზოგადი მოდულების შემთხვევაში მეცადინეობის ნაწილი არ მიყვებოდა კალენდარულ გეგმას.
- მასწავლებლეთა ნაწილი (ერთი მასწავლებლის გარდა) სტუდენტებს არ უსახელებდა მეცადინეობის მიზანს.
- მეცადინეობაზე მათ მიერ გამოყენებული რესური იყო მხოლოდ მათთვის და არა სტუდენტისთვის.
- დარგობრივი მოდულების შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ ორი მასწავლებელი კოლეჯისთვის არის ახალი კადრი, მათ მიერ დაგეგმილი მეცადინეობები იყო უხარვეზო, მხოლოდ ორ შემთხვევაში არ იყო მეცადინეობის მიზანი დასახელებული.

შედეგები:

საფინანსო სერვისები - II ეტაპი განხორციელება

- ზოგადი მოდულების შემთხვევაში იმ მასწავლებლებთან, ვისაც არ ჰქონდათ დაგეგმილი მეცადინეობა, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სპონტანურად და შეიმჩნეოდა სტუდენტების დაბალი მოტივაცია.
- დაგეგმილი მეცადინეობების შემთხვევაში მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლის მეთოდები და აქტივობები ისე იყო შერჩეული, რომ თითოეული სტუდენტი ერთვებოდა პროცესში და აქტიურობდა.
- ერთი მასწავლებელი დემონსტრირების გზით ჯერ თავად ანახებდა ჩასატარებელ პროცედურებს და შემდეგ ინდივიდუალურად აკვირდებოდა სტუდენტების ქმედებებს.
- დარგობრივი მოდულების შემთხვევაში მაღალი იყო მასწავლებელსა და სტუდენტს შორის ინტერაქცია.

შედეგები:

საფინანსო სერვისები - III ეტაპი შეფასება

- ზოგადი მოდულის ახალი მასწავლებლების ნაწილს არც ლექცია შეუჯამებია და არც სასწავლო პროცესის დროს აძლევდა სტუდენტებს განმავითარებელ შეფასებას.
- ყველა დარგობრივი მოდულის მასწავლებლის მიერ გამოყენებული იყო შეჯამების ტექნიკა და განმავითარებელი შეფასება სწავლებისა და პრაქტიკული სამუშაოების პროცესში.

შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგია - I ეტაპი დაგეგმვა

- დაგეგმვის ეტაპზე მეცადინეობების თემა შეესაბამებოდა მოდულის კალენდარულ გეგმებს, მხოლოდ ერთი მოდულის შემთხვევაში გამოიკვეთა მცირედი ხარვეზები, კერძოდ, მეცადინეობის მიზანი არ იყო განსაზღვრული მასწავლებლის მიერ. აღსანიშნავია, რომ მოცემული მოდულის მასწავლებელი არის ახალი მასწავლებელი პროფესიული განათლების საფეხურზე.
- უმეტესად მასწავლებლების მიერ განსაზღვრული მიზანი, შერჩეული სწავლის მეთოდი და დაგეგმილი აქტივობები სრულ შესაბამისობაში იყო როგორც ერთმანეთთან, ისე სასწავლო გარემოსთან.

შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგია - II ეტაპი განხორციელება

- ყველა მასწავლებელი უზრუნველყოფდა სტუდენტების გააქტიურებას, ზოგიერთი ინდივიდუალური დავალებების მიცემის გზით, ზოგი ჯგუფური სამუშაოებით.
- ყველა მეცადინეობა დატვირთული იყო პრაქტიკული სწავლებებით, სავარჯიშოებით.
- მასწავლებლები იყენებდნენ სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას.

შედეგები:

ინფორმაციის ტექნოლოგია - III ეტაპი შეფასება

- ყველა მეცადინეობაზე მასწავლებლების მიერ სტუდენტებთან მიწოდებული იყო უკუკავშირი და გამოყენებული იყო შეჯამების ტექნიკა, მხოლოდ ახალი მასწავლებლის შემთხვევაში არ მომხდარა შეფასების ეტაპის განხორციელება.

შედეგები:

ქართული ენა A2 და B1 მოდულები - I ეტაპი დაგეგმვა

- ქართული ენის მოდულებზე დაწრება მოხდა შერჩევით ერთ ჯგუფში თითოეულ დონეზე.
- დაგეგმვის ეტაპი, ორი მასწავლებლიდან მხოლოდ ერთის შემთხვევაში არის სწორად წარმართული.
- მასწავლებლის მიერ შერჩეული სწავლის მეთოდები და აქტივობები შეესაბამებოდა მეცადინეობის თემას და მიზანს
- მე-2 მასწავლებელის მიერ დაგეგმილი აქტივობები არის სპონტანური, ვერ ასახელებს მეცადინეობის მიზანს და თემაც არ არის კალენდარული გეგმით შერჩეული.

შედეგები:

<u>ქართული ენა A2 და B1 მოდულები - II ეტაპი</u>
<u>განხორციელება</u>

ერთი მასწავლებლის მიერ გამოყენებული იყო მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსი სტუდენტებთან დასახული მიზნის მისაღწევად.

მეორე მასწავლებლის შემთხვევაში გემოყენებული იყო მხოლოდ კითხვა-პასუხის რეჟიმი და იგი შეძლებისდგავარად რთავდა სტუდენტებს ამ პროცესში.

შედეგები:

<u>ქართული ენა A2 და B1 მოდულები - III ეტაპი შეფასება</u>

ერთი მასწავლებლის მიერ კარგად დაგეგმილი და განხორციელებული მეცადინოება გამოირჩეოდა შეჯამების და შეფასების ეტაპითაც, თითოეულ სტუდენეტს აწვდიდა ამომწურავ შეფასებას/რეკომენდაციას.

მეორე მასწავლებელს არ განუხორციელებია შეფასების ეტაპი, თუ არ ჩავთვლით სტუდენტების საუბრის დროს მასწავლებლის მიერ სიტყვების გამოთქმის მექანიკურ ჩასწორებებს.

რეკომენდაციები:

<u>2023-2024 სამოქმედო წელს სასწავლო პროცესზე დასწრების მონაცემების შესწავლის შედეგად შეიძლება მცირედი რეკომენდაციების გაცემა კოლეჯის ადმინისტრაციისთვის:</u>

ახალ მასწავლებლებთან, რომელთაც არ აქვთ სწავლების გამოცდილება, მოხდეს გზამკვლევის და მეთოდური რესურსების მიწოდება. ასევე სასურველია ისინი დაესწრონ გამოცდილ მასწავლებლებს, რომ პრაქტიკაში ნახონ როგორ ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი.

იმ მასწავლებლებთან, რომელთაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საკუთარი მეცადინეობის პროცესი, კარგი იქნება თუ დაინერგება საჩვენებელი მეცადინეობები, რომელზე დასწრებითაც სხვა მასწავლებლებიც შეძლებენ არსებული პრაქტიკის გაზიარებასა და სიახლეების საკუთარ სასწავლო პროცესში გადატანას.